IPN
ინტერპრესნიუსი

საზოგადოება

პედაგოგთა პროფკავშირი მოკლევადიან ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგება

13:17 17-10-2012

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი საჯარო სკოლის დირექტორებს მიმართავს, შეაჩერონ პედაგოგებთან მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.
ამასთან დაკავშირებით პროფკავშირის პრეზიდენტმა, მაია კობახიძემ დღეს მიმართვა გაავრცელა.
მიმართვაში ნათქვამია, რომ ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში, საქართველოს საჯარო სკოლებში დაიწყო პედაგოგებთან ახალი მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.
"შეგახსენებთ, რომ გასული სასწავლო წლის დაწყების დროს ყოფილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, კანონმდებლობის დარღვევით, საჯარო სკოლების დირექტორებმა მასიურად გააუქმეს მასწავლებლებთან გაფორმებული გრძელვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებები და აიძულეს პედაგოგები გაეფორმებინათ სკოლებთან სამ თვიანი, ექვს თვიანი ან ერთ წლიანი შრომითი ხელშეკრულებები, რაც შემდეგ ეფექტურად იქნა გამოყენებული სკოლებიდან სხვადასხვა მოტივით, მათ შორის პოლიტიკური ნიშნით მასწავლებელთა მასიური განთავისუფლებისათვის", - ნათქვამია მიმართვაში.
კობახიძის განმარტებით, გარდამავალ ეტაპზე, ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ეწინააღმდეგება პედაგოგთა შრომის სავალდებულო პირობების შესახებ #959 ბრძანების მოთხოვნებს, პროფკავშირში მიზანშეუწონლად მიაჩნიათ.
"მოვუწოდებთ ყველა პედაგოგს, გამოიყენონ თავიანთი კანონიერი უფლება და უარი თქვან კაბალური პირობების მქონე შრომითი ხელშეკრულების გაფორმებაზე", - აცხადებს კობახიძე.
კობახიძე ასევე მოუწოდებს პედაგოგებს ყველა ინდივიდუალურად წარმოქმნილ პრობლემასთან დაკავშირებით დაუკავშირდნენ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ცხელ ხაზს შემდეგ ნომრებზე: - (032)2 37 41 59 / (032) 2 37 30 67.

მასალის გამოყენების პირობები